ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

34(05)
ს-29.

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ივლისის 29. № 18 ტფილისი

შინაარსი

ჯანმრთელობის დაცვა.

156. საქართველოს სსრ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის დებულების დამტკიცების სახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის შესახებ.

1548

ჯანმრთელობის დაცვა

156. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

„სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის დეკემბრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 74 №-ი, მუხ. 450) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი დეკადის ვადაზე დაამტკიცოს სასანიტარო ინსპექტორების ქსელი და ნორმები ამ ქსელის მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს წარმოადგინოს დასამტკიცებლად პროექტი საქართველოს სსრ კანონდებლობის ცვლილებებისა, რაც 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულებიდან გამოდინარეობს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ივნისის 14.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანანიტარო ინსპექციის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექცია ეწყობა იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის სასანიტარო მომსახურეობა და რომ სასანიტარო ზედამხედველობით მოცულ იქნეს წარმოების, შრომის და ყოფაცხოვრების, განსაკუთრებით საჭამადო მრეწველობის და საზოგადოებრივი კვების, ყველა დარგი.

2. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის ორგანოები ეწყობა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის ცენტრალური ორგანოებისა და ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების სისტემაში.

3. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის სათავეში დგას საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი, რომელიც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილეა და რომელსაც ამ თანამდებობაზე ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის ორგანოებია:

ა) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები სანიტარიის ცალკეულ დარგებში;

ბ) აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციები;

გ) სარაიონო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციები;

დ) საქალაქო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციები;

ე) საუბნო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები დიდ რაიონებსა და ქალაქებში;

ვ) სპეციალური სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები, რომელთაც დანიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ცალკეულ საწარმოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები, რომელნიც სათანადო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციების სათავეში დგანან, არიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის ცენტრალური ორგანოების გამგეების მოადგილეები, და მათ ნიშნავენ სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორთან შეთანხმებით.

საქალაქო და სარაიონო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციების სათავეში დგანან სათანადო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები, რომელნიც ჯანმრთელობის განყოფილების გამგეების მოადგილეები არიან და რომელთაც ნიშნავენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები და საბჭოები ზემდგომ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორთან შეთანხმებით.

5. თვითეულ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორს შეუძლია მისცეს ქვემდგომ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორს აღსასრულებლად სავალდებულო წინადადება და განკარგულება და დაადოს მას სადისციპლინო გადასახდელი, კერძოდ, გადააყენოს თანამდებობიდან, ისე კი, რომ გარემოება აცნობოს იმ ორგანოს, რომელმაც გადაყენებული ინსპექტორი დანიშნა.

6. არც ერთ სხვა თანამდებობის პირს, გარდა მე-3 მუხლში აღნიშნული პირებისა, არ შეიძლება ეწოდოს სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი.

II. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის შედგენილობა.

7. მთავარი სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის შედგენილობაში შედიან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები სანიტარიის შემდეგ დარგებში: ა) საჭამადო (საჭამადო მრეწველობა, ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება), ბ) სამრეწველო, გ) საბინაო-კომუნალური, დ) სასკოლო, ე) ეპიდემიებთან ბრძოლისა და ვ) მალარიასთან ბრძოლისა.

წყლისა და რკინის გზის ტრანსპორტზე და კურორტებზე სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის ფუნქციებს ანხორციელებენ სანიტარიის სათანადო დარგების სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები.

ამის გარდა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შეუძლია დანიშნოს სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები განსაკუთრებული მინდობილობისათვის.

8. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციების შედგენილობაში შედიან საჭამადო მრეწველობისა, საბინაო-კომუნალური და სასკოლო სანიტარიის დარგისა, ეპიდემიებთან ბრძოლისა და მალარიასთან ბრძოლის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქალაქო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციების შედგენილობაში დიდ ქალაქებში შედიან სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები საჭამადო, სამრეწველო, საბინაო-კომუნალური და სასკოლო სანიტარიის დარგში.

იმ ქალაქების სიას, სადაც მოწყობილ უნდა იქნეს საქალაქო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციები, აწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

10. უფრო დიდ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, საქალაქო რაიონებში და აგრეთვე ცალკეულ დიდ ქალაქებში, რომელთაც სარაიონო საბჭო არა ჰყავთ, შეიძლება შემოღებულ იქნეს საუბნო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორების თანამდებობა, და ეს ინსპექტორები უშუალოდ დაექვემდებარებიან სათანადო სარაიონო ან საქალაქო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორს.

საუბნო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორების ქსელი დაწესდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სასანიტარო ნორმების შესაბამისად.

11. საერთო-საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ცალკეულ დიდ საწარმოებში და ახალშენებაში, რომლებიც სპეციალურ სასანიტარო ზედამხედველობას მოითხოვენ (სათევზაო რეწაობა, ხორცის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა, ქიმიური ქარხანა და სხვ.), საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი დანიშნავს სპეციალურ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორებს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

12. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორის მოვალეობის აღსრულება ცალკეულ საწარმოებში, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორის დამტკიცებით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორის დამტკიცებით, შეიძლება დაეკისროს ამ საწარმოთა ჯანმრთელობის პუნქტების გამგეებს.

ამავე წესით შეიძლება დაეკისროს რაიონების საუბნო ექიმებს სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორების მოვალეობის აღსრულება ცალკეული საბჭოთა მეურნეობების მიმართ.

13. საზოგადოებრივი სასანიტარო რწმუნებულები სამრეწველო საწარმოებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა, სკოლებში და სხვ. მუშაობენ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორების ხელმძღვანელობით.

III. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორების უფლება-მოვალეობანი.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციას ეკისრება ზედამხედველობა გაუწიოს იმას, რომ ყველა საზოგადოებრივმა, ფედერატიულმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკანურმა და ადგილობრივმა ორგანომ, საწარმომ და ორგანიზაციამ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეასრულოს დადგენილი სასანიტარო-საჰიგიენო ნორმები და წესები, როგორც საზოგადოებრივი ხასიათისა, ისე ყველა სპეციალური სახის სასანიტარო ზედამხედველობისა.

ამ მიზნით საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო სასანიტარო ინსპექცია:

ა) ამუშავებს სასანიტარო-საჰიგიენო ნორმებსა და წესებს, რომლებიც სავალდებულოა აღსასრულებლად მათი დამტკიცების შემდეგ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ყველა უწყებისა, დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, და კონტროლს უწევს ამ ნორმებისა და წესების შესრულებას;

ბ) ანხორციელებს კონტროლს იმისათვის, რომ შესრულებულ იქნეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სასანიტარო-საჰიგიენო ნორმები და წესები საჭამადო მრეწველობის, საზოგადოებრივი კვების და კვების პროდუქტების ვაჭრობის დარგში;

გ) სცემს წესებსა და ინსტრუქციებს სასანიტარო კანონმდებლობის შეფარდებისა და სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის ორგანოების მუშაობის წესის შესახებ;

დ) კონტროლს უწევს სასანიტარო-საჰიგიენო ღონისძიებათა განხორციელებას ყველა საზოგადოებრივი, ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ორგანოს, საწარმოს და ორგანიზაციის მიერ საქართველოს სსრ ფარგლებში, მათ რიცხვში—საუწყებო სასანიტარო სასამსახუროს მიერ.

15. ამ დებულების საფუძველზე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აწესებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ცალკეულ საწარმოებში დანიშნული სპეციალური სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორებისა და ყველა ადგილობრივი სახელმწიფო ინსპექტორების უფლებამოვალეობას.

16. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები ანხორციელებენ სასანიტარო ზედამხედველობას ქალაქების და მუშათა დაბების, მნიშვნელოვანი კომუნალური ნაგებობის (წყალსადენი, კანალიზაცია და სხვ.) და აგრეთვე სამრეწველო საწარმოს მშენებლობის მიმართ.

სასანიტარო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საერთო-საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის, აგრეთვე სარაიონო მნიშვნელობის მშენებლობის შეჩერება და საწარმოს დახურვა მოხდება საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორის დამტკიცებით; ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის შეჩერება და საწარმოს დახურვა სასანიტარო მოთხოვნების დარღვევის გამო შეიძლება მოხდეს აგრეთვე სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორის დამტკიცებით. ქვემდგომი სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი მოვალეა დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულ სახელმწიფო ინსპექტორებს მის მიერ აღმოჩენილი სასანიტარო დარღვევა.

17. ანხორციელებენ რა სასანიტარო ზედამხედველობას, სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები:

ა) სისტემატურად ამოწმებენ ყველა საწარმოს, დაწესებულების, გამართულობის და აგრეთვე საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების სანიტარულ მდგომარეობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ბ) აიღებენ საჭირო შემთხვევაში პროდუქტებს სასინჯად და საანალიზოდ;

გ) აკრძალავენ ჯანმრთელობისათვის მავნებელი და საშიში საგნების შენახვას და სარგებლობას (მათ რიცხვში—გაყიდვას) და საჭირო შემთხვევაში მოახდენენ განკარგულებას ასეთი საგნების ჩამორთმევის ან მოსპობის შესახებ;

დ) მოახდენენ განკარგულებას სასანიტარო-საჰიგიენო ნორმებისა და წესების დაცვასთან დაკავშირებულ სასანიტარო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ და ამასთან აღნიშნავენ ამ ღონისძიებათა შესრულების ვადებს;

ე) შეაჩერებენ, საჭირო სასანიტარო ღონისძიებების განხორციელებამდე, საწარმოს ექსპლოატაციას, სადგომების და საწყობების სარგებლობას, ნავჭურჭლის გაშვებას და აგრეთვე დახურავენ ვადით ან უვადოდ ჯანმრთელობისათვის მავნებელ და საშიშ წარმოებას, ამა დებულების მე-16 მუხლის დაცვით.

ვ) გადააყენებენ მუშაობიდან სრულიად ან დროებით, განსაზღვრული სასანიტარო მოთხოვნების შესრულებამდე, იმ მომუშავეებს, რომელნიც დაავადებული არიან გადამდები სნეულებით და რომელთაც თავისი მუშაობით საქმე აქვთ კვების პროდუქტებთან და ფართო მოხმარების საგნებთან, ან მომსახურეობას უწევენ მოსახლეობის პირად ჰიგიენას და საყოფაცხოვრებო საჭიროებას (საპარიკმახერო, აბანო, სამრეცხველო და სხვ.);

ზ) სასანიტარო-საჰიგიენო ნორმებისა და წესების დარღვევისათვის მისცემენ დამნაშავეებს პასუხისგებაში სისხლის სამართლის ან საადმინისტრაციო წესით.

18. დადგენილი სასანიტარო-საჰიგიენო ნორმებისა და წესების დარღვევის აღმოჩენისას, სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები დაადებენ ჯარიმას: საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი—3.000 მანეთამდე საწარმოს და 300 მანეთამდე ცალკეულ პირებს; ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები და აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სპეციალური სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები—თანაბრად 1.000 მანეთამდე და 100 მანეთამდე; საქალაქო, სარაიონო და საუბნო სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორები—100 მანეთამდე.

შენიშვნა. ამა მუხლის თანახმად დადებული ჯარიმის გადახდევინების წესი განისაზღვრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით, გამოცემული ინსტრუქციით.

19. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორს შეუძლია მისცეს ყველა სამკურნალო-პროფილაქტიურ და სამეცნიერო დაწესებულებას და აგრეთვე ლაბორატორიას საავადებულო დავალება სასანიტარო ზედამხედველობისათვის საჭირო სპეციალური გამოკვლევის მოახდენის შესახებ.

20. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შევიდეს და დაათვალიეროს ყველა სადგომი და ეზო და აგრეთვე დღისით—თავისუფლების აღკვეთისა და შრომა-გასწორების სამუშაოთა ადგილი.

21. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორის მოთხოვნით ყველა თანამდებობის პირი და კერძო პირი ვალდებულია მისცეს ცნობები და წარადგინოს მასალები და დოკუმენტები, რაც საჭიროა სათანადო ობიექტის სანიტარული მდგომარეობის გამოსარკვევად.

22. ყველა თავის განკარგულებას, რომელიც გამოკვლევისა და შემოწმების შედეგს წარმოადგენს, სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი მოახდენს წერილობით და დაუყოვნებლივ გამოუცხადებს პასუხისმგებელ პირთ.

23. სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორის ყველა განკარგულება, მათ რიცხვში განკარგულება ჯარიმის დადების შესახებ, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ზემდგომ სასანიტარო ინსპექტორთან სამი დღის ვადაზე.

განსაჩივრება, გარდა ჯარიმის დადების საქმეებისა, ვერ შეაჩერებს სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორის განკარგულების აღსრულებას.

24. უკეთუ იმ საწარმოში, რომელსაც მომსახურეობას უწევს საუწყებო სასანიტარო სასამსახურო, აღმოჩნდა სასანიტარო დარღვევა, სასანიტარო პერსონალის დაუდევრობა ან უმოქმედობა, სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი აცნობებს ამას საუწყებო სასანიტარო სასამსახურის ხელმძღვანელს დამნაშავეთათვის სადისციპლინო გადასახდელის დასადებად, ან მისცემს დამნაშავეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

25. უკეთუ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექტორი სასანიტარო დარღვევას თავის დროზე არ აღმოაჩენს და მის თავიდან ასაცილებლად ღონისძიებებს არ იხმარს, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა სადისციპლინო და სისხლის სამართლის წესით.

ფასი 20 კაპ.

გამოსაცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 35 ბ/მ რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1/2 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 11/VII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII; ტირაჟი 2.000

მთავლიტი რწმ. ს.—№ 56 საქ. სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1132